

TAMAR DEMETRASHVILI

G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES OF ILIA STATE UNIVERSITY

[t\\_demetrashvili@yahoo.com](mailto:t_demetrashvili@yahoo.com)

PAATA JAPARIDZE

ZVIAD TSKHVEDIANI

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

[pajafari@yahoo.com](mailto:pajafari@yahoo.com)

[zviad.tskhvediani@atsu.edu.ge](mailto:zviad.tskhvediani@atsu.edu.ge)

## SPEECH OF MAZANDARAN POPULATION WITH GEORGIAN ORIGINS: DIALECTOLOGICAL MATERIAL

### Abstract

The monograph “Speech, Lifestyle and Culture of the Population of Georgian Origin in Mazandaran” was published in 2017. The work is the first attempt for the complex exploration of the mentioned issue. The work was co-financed by Shota Rustaveli National Science Foundation as part of the state research grant for fundamental research projects N FR/409/2-141/13. The authors of the work are Paata Japaridze (head of research), Grigol Beradze, Tamar Demetrashvili, Giorgi Gotsiridze, David Shavianidze, Zviad Tskhvediani.

The work submits samples of Mazanderani speech recorded and filed in the city of Behshahra, settlement of Gori Mahale and village of Asiabsar of the Mazandaran Province. We have recorded texts in 2014-2016. We have obtained linguistic and ethnographic materials from representatives of the surnames of Heidari, Siamiani, Nosratola, Eshaki and Iliasi. Fieldworks were planned in the village of Kusane Gorji, mentioned in sources. It should be noted that the toponym of Kusane Gori has disappeared. Asiabsar is located between the villages of Rostam Qola and Gorji Mahale. Families of the Surname of Iliasi (Iliasi Gorji) of Georgian origin live in Asiabsar.

Georgians of Mazandaran speak both Mazandaran and Persian languages. In general, the Persian language makes serious influence on Mazanderani language.

This article introduces dialectic material (4 texts, including the unpublished one: *Sang mar mar bāzi* – “Playing Beads” and *bəjəl bāzi* – “Playing Dibs”) with translation and lexical-grammar interpretations, which also include unpublished additional information *concerning oγuz bāzi*.

Texts reflect the eastern dialect of Mazandaran language, namely, Mazanderani speech of local population of Georgian origin and this is an interesting aspect for linguistic and socio-linguistic research of Mazanderani language.

**Keywords:** The Georgian Population in Mazandaran, Mazanderani Speech.

Life and culture of the population of Georgian origin established in Mazandaran in XVI-XVII centuries were not explored so far, in practice.

Shah Abbas relocated 30000 Georgian and Armenian families to Mazandaran, including 3000 families from Zagemi (outer Kakheti). Most Georgians settled Ashraf (currently Behshahr), Sari and Farahabad regions. In 1618 Pietro della Valle traveled to Mazandaran. He writes that “the settlers have been allowed to live their everyday lives. To prevent settlers from idleness, Shah assigned them to cultivate virgin lands. Therefore they brought the culture, workmanship and trade, which was totally new in the place. The majority of people who have been already relocated and are still coming here are Christians, they have different clothes, customs and traditions. Most of them are Georgians and Armenians, who are allowed to build as many houses and churches as they wish and conduct worship

publicly” (Pietro della Valle 1811, 52; Japaridze 2017, 7-8). P. Oberling submits references about Georgians in Mazandaran (Oberling 2001: <http://www.iranicaonline.org/articles/georgia-iv--2>).<sup>1</sup>

The geographical location of villages settled by Georgians in Mazandaran is as follows: Gorji Qale, a 13 km way south-east of Nou; Gorji Keili, a 36 km way south of Fole Sefidi; Gorji Sara, a 26 km way south-east of Shahsavar; Gorji Qala, a 5 km way south-west of Sari-Shah highway; Gorji Mahalleh, an 8 km way west of Behshahr; Gorji Mahalleh, an 11 km way east of Kurd Kui. There are following villages in the Mazandaran Province: Gorji in the Shahrud district, Gorji-Mahalleh in the Gorgani district, an 8 km way of Bender Gorgan.

Along the whole southern coastline of the Caspian Sea, we often meet toponyms containing elements of a Georgian man or Georgian (similar toponyms were more in older periods). This fact signifies that this region was full of Georgian settlements. The objective of the settlement of Georgians in Mazandaran was to strengthen the Region in terms of military and economic aspects.

Nowadays Georgians in Mazandaran do not speak Georgian any more. Diagram of their Georgian speech comes up to 1930-1940s, however, currently, there are only several persons in the Region, who speak Georgian.

Having visited Mazandaran in 1889, Jacques de Morgan noted that the local population has lost their native language, while, according to the 1934 reference by Vladimer Minorski, there was an only aged woman speaking Georgian. It should be noted that the map of Iran published in St. Petersburg during World War First demonstrates a disposition of tribes and this document proves the existence of the Georgian-language population in Mazandaran.

A major part of Mazandaran residents is bilingual. Besides the native language, the local population knows Persian very well. In a bilingual environment, the Mazanderani language is influenced by Persian language and this process is reflected in vocabulary, phonetics and syntax. Age and gender factors also matter.

Rich writing tradition exists in the Mazanderani language (up to X-XV centuries). However, today, the Mazanderani language does not exist anymore and it does not have standardized forms.

More than 10 sub-dialects cohabit in the Mazanderani language and they may be grouped in 3 main categories: Eastern, Central and Western. Highland and plain groups are also differentiated.

Mazanderani language varies in urban and rural (conservative) zones. Persian-influenced Mazanderani language is met in urban zones and young people, city residents, well-educated people speak it. Another, conservative Mazanderani language (rural zone) is spoken by aged, less-educated residents of villages.

According to research works, in terms of typology, Mazanderani language demonstrates certain common signs with Caucasian languages, jointly with Gilan (Gilaq) language (Stilo 1981, 137-185; Stilo 2005, 35-63).

In Mazandaran, the Persian language is used in native variety, to a certain degree. Social factors also lead to a combination-replacement of codes.

Fifteen texts filed and recorded with phonology transcriptions (including folk songs) in “Mysterious Memories of a Women: Ethno-Linguistic Materials from Rural Mazandaran”, the work by M. Borjian and H. Borjian, are of crucial importance among Mazanderani materials published over the past period. Authors note that the introduced materials are important for the linguistic and ethnology exploration of Mazandaran (Borjian... 2007, 227).

## I

### *Sang mar mar bāzi*

*in bāzi vištār tabestuna bad az madrase, bad az tatila(/ā)t, šuru biyā kə vačēā vištār ba-pul bāzi kardān(n)ə. agə pul nadoštə bejayə pul sang mar mar dane kə nafare aw(w)al sang marmar, rə inguə bənə. nafare dowom elam kardə masalan: tir yek taman vəjə panjzar. agə tir zuə, yek tuman gitə, agə nazu bu yek tuman baxtə.*

Narrator: Ali Baba Hashem Gorji, 54 years old, Gorji Mahale (Behshahr)

*This game mainly starts after school in summer, after holidays (that) children mainly play for money. If they did not have money, [somebody] used to give a small clay bead instead of money. The first*

<sup>1</sup> On this issue see the bibliography of the work “Speech, Lifestyle and Culture of the Population of Georgian Origin in Mazandaran” (2017, Kutaisi: Akaki Tsereteli State University Press).

one was throwing the bead on the ground. The second gamer says, for example, hitting [the target] one Toman from 5 steps. If he hits the target, wins one Toman. If he misses, loses one Toman.

**sang-mar-mar**: small bead of clay, glass or stone (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1392), (toy for children); **in**: this (demonstrative pronoun), cf. Pers. īn / این; **bāzi**: game (< Pers. Id.); **kardān(n)ə**: they used to make, masd. həkordān (Behshahr) // hākordān (Amoli) // hākordān (Abas Abad) (cf. Pers. kardan / کردن), here: auxiliary verb, bāzi kardān(n)ə – they used to play; **agə**: if (cf. Pers. agār / اگر); **nadoštə**: they did not have, na – negative particle, doštə // daštə – they had (cf. Pers. masd. dāštan / داشتن – to have); **bejay-ə**: instead (< Pers. Id.); **dane** // **dāne**: masd. hedāne – to give (cf. Pers. dādan / دادن); **nafar-e**: person (< Pers. Id. < Arab.); **av(v)el**: first (< Arab. Pers. awal / اول); **vištar**: vištar // vištər // bištər – mostly (cf. Pers. bīštar / بیشتر); **šuru biye**: šuru – they used to start; šuru – to start (cf. Pers. šorū(ʔ) / شروع < Arab.); biye – was (cf. Pers. būd / بود), here: auxiliary verb; **vače**: child, cf. Pers. bače / بچه; **kə**: Main connection in a compound sentence followed by various subordinate clauses; **inguə**: they used to throw, masd. dinguən // dinguən // denguən // dinguən; **elam kardə**: they used to say, declare (cf. Pers. masd. elām kardan / اعلام کردن); **tir**: hitting (the target); **vəjə**: vijə // vejə // vəjəb – step (cf. Pers. wājab / واجب)<sup>2</sup>; **ye**: one, cf. Pers. Id. Mazand. yəttə = yettə // yettā (ya+tə) – ye - one, yəttə (Behshahr dialect); **taman** // **tuman**: Toman; **zuə**: hit, stroke, masd. bazuən – hitting, striking (cf. Pers. zadan / زدن); **nazu bu**: failed to hit; bu – let be (cf. Pers. bāšad / باشد), the form of aorist, auxiliary verb; **gitə**: they took, took away; masd. gitən // griftan // gitan (cf. Pers. gereftan / گرفتن); **bahitən**: Masd. taking, catching, obtaining; **bahit bu**: was taken/ they took, *bahit* – taken, past participle, (masd. bahitən); **baxtə**: // bā(a)xət – he lost, masd. bebāxtən (cf. Pers. bāxtan / باختن).

## II

### *bəjəl bāzi*

*bəjəl yəttə tike əstəyun hastə ke gufendi lingə dələ, ye smate zendi dane ke vāne esm bəjəle. vāne-jə šāh o vazīr bāzi<sup>3</sup> kombim. un ye smat ke čale dan(n)ə šāh (h)astə. vāne pəšt saff(f) hastə vazīr hastə. vāne yek taraf nešungare dəzd, tarafe dige nemāyāngarə adamə zāhed va ba xoda hastə. vaxti ke šāh o vazīr tayyn bavinə, bāzi šuru vune. nafarate badi bəjəl rə ingendən(n)ə. agə zāhed dakefə, hič jarimeī nedan(n)ə, magar šāh hoqm hakən(n)ə ke zāhed baxundə yə harakatirə anjam hadə. agə dəzd dakefə, vazīr be et(t)elae šāh resenandə ke dəzd baytəmə bad šāh gvənə čə čī ba dəzd biye? bastegi be nūe dəzdi hokm dən(n)ə. bad masalan dəzdi xurd baše, tambi(h)e kamtar .agə gattər baše tambihi vištar. tambi(h) be vasileye alate bename kvatak vasiley hastə parčey ke xale seft o mohkam bebavtə vūnə daste vazīr darə va vazīr ba in kotak tambih kvəndə. agə vazīr natune, xub tambih hakən(n)ə, šāh be dəzd gvənə ke tambih rə vazīr derə yād bade. be hamin surat bāzi ədāmə denə.*

Narrator: Ali Baba Hashem Gorji, 54 years old, Gorji Mahale (Behshahri)

*bəjəl* is a part of a bone, which is in the leg of a sheep, near the knee, it is called as *bəjəl*. We use it to play the game of King and Vizier. The king (we used to write KING there) is at the hollow of a bone, Vizier is on a smooth surface. Its one side (*dib*) shows a thief, another – pious. When a Shah and a Vizier are determined (who is who), the game starts. Others throw *dib*. If the pious stands, no punishment is executed. If the King instructs that the Pious sing, then he sings or makes some moves. If the Thief stands, the Vizier notifies the King that he has caught the Thief. Then the King says: what has he stolen? He passes judgment due to the Thief [theft]. Then, if the theft is unimportant, the penalty is also less. If more, punishment is more. The punishment is carried out with KVATAK [that] is very simply and tightly-knit thing, which the Vizier holds in the hand. The Vizier punishes him by this fabric. If the Vizier fails to punish valuably, the King tells the Thief to determine the penalty against the Vizier [so as the thief punish the Vizier]. The game continues in this way.

**bəjəl**: small quadrangular bone of sheep joint; **əstəyun**: bone (cf. Pers. ostoxān / استخوان); **hastə**: is, exists (cf. Pers. hast / هست. hast-e). Mazand. dar-ə Pers. equivalent to budan. It is represented in two forms in the present and indicative moods: dar and hast. hast has entered Mazanderani from Persian; **gufendi**: = gusfən // gvesfən - sheep (cf. Pers. gūsfand / گوسفند); **tikke**: part of something (cf. Pers. tekke /

<sup>2</sup> According to the narrator's interpretation, *vəjə* denotes a span.

<sup>3</sup> Interpretation about *šāh-vazīr bāzi* [Game of King and Vizier]: Game for 13-15 young men. The game accessories: dibs and a variety of wool, which is called as *dərne* in Mazandaran. The game is played at various festivities; son-in-law also participates in the game during the wedding ceremony. The process lasts till morning and ends in slaughtering sheep and tasting mutton (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1442-1443).

تکه), **ling**: = leng// læng // lang - leg (from shin bone to foot); **dələ**: inside (adverb) = dāxele (< Pers. Id.< Arab. dāhil); **yesmate zendi**: yesmat: part (cf. Pers. Id.), zendi: knee (cf. Pers. zānū / زانو). Here the narrator applies Persian Izafet (cf. Mazanderani: zendi yesmat – part of the knee); **dane**: masd. hədāne - giving (cf. Pers. dādan / دادن); **vəne**: his; **bāzi komb-im**: We play, kombi – we make (present tense stem); masd. hóc(ə)kərdən – making (cf. Pers. mīkonim / می کنیم – we make and masd. kardan / کردن – to make); **pəšt**: back, surface (cf. Pers. pošt / پشت); **nešungar**: = nemāyāngar – indicator, signpost (< Pers. colloq. nešungar); **taraf**: side (< Arab. Pers. taraf / طرف), tarafe dige – on the other side; **zāhed**: prayerful, ascetic (cf. Pers. Id.); **bavin-ə**: became, turned into (auxiliary verb), Masd. baviyən, tayyn bavinə – was determined, was defined; **dəzd**: thief, dəzdi: theft; **ingend-ən(n)ə**: they throw; **dakef-ə**: fell down (aorist), masd. dakətən; **nedan(n)ə**: they do not give; **mağar**: conjunction if, even if (< Persian. Id.); **hakən(n)-ə**: to do (aorist), the auxiliary verb here (hoqm hakən(n)ə – instructs, pronounces judgment), masd. hākərdən; **baytəmə**: I took, I caught; **gvən-ə**: he says; **gat-(tə)r**: bigger, gat – big, -tər element forms are elative; **tambih**: punishment, penalty, sentence (< Arab. Pers. tanbīh / تنبيه); **kvəndə**: he does; **kvatak**: = kutək – rolled dual wool, which is used in games instead of whip; **bebavtə vune**: knit, vune: = bune – became, turned into (auxiliary verb, present tense stem, masd. bayyən, Pers. šodan / شدن); **yād bade**: < Pers. yād bede – Teach!; **ədāmə**: to continue (< Arab. Pers. ədāmə / ادامه); **den-ə**: he gives (here: auxiliary verb, masd. hədāən // dədəən // hədān), ədāmə denə – it is continued.

### III

#### oğuz bāzi<sup>4</sup>

*amā oğuz bāzi kardəmi. γadimā gotennə kākāli bāzi. yə seri vačēā be bāzi hamle kerdənə ke arrouri hakenə. aγuz bāzi čand nu biye, mesle kākāli bəkaštən ya čāle dāšəniyə. xat dər hakərdən, dah nafar bāzi kardəmi. aγuz dakoštən aksaran bāzi vačēhā tābestūn, bad az nāhār otxelə dələ ya ojaγ ban bāzi kardəmi. bāzi dar surate āγuz dekaštən panj nafar be surate panj kešt šuru biye. dar in be in yettə nafar gwətə čan kešt? ba in ke tedad-e kešt malum biye, āγuzā rə ediyə sar kaštənə. har kas yettə qade āγuz daštə ke verə gwətəmi šayələ. xurdətəri āγuzə rə gvetəmi biji kwel<sup>5</sup>, ke in āγuz haqe bāzi nedəštə. bad in ke āγuzā rə bekaštənə, bā fāseleye moayan baviyə az γabl, šāγəl je be kašte āγuzā rə zarbe zunə. aγə betuneste har tedad āγuzə rə lə badiyə, hamun āγuzə rə barande biyə. haminjūr ədāmə dane, ta nafare axar. az un var har kī vāne šāγələ dīrtar biyə bāzi rə šuru' kwərdə. har kas barande biyə āγuzə rə xweše pəssun zuə, aγə xale bavərd bu, gvetəmi vāne pəssun ču baviyə.*

Narrator: Amrola Gorji, 54 years old, Gorji Mahale (Behshahr).

We used to play the Oghuz game. Elders called it as a game in walnut. One group of children used to join the game with whoops. There were several varieties of games in walnut, such as Planting Walnut or Dropping into Pit. They used to draw a line. We used to play in ten persons. “Putting Walnut through Hole” [a variety of game] we, boys, mostly used to play it after dinner in Otkheli or Oja-Bani. “Putting Walnut through Hole” game variety used to start with five gamers and five pairs of walnuts. Meanwhile, one gamer was saying: How many pairs? When the number of pairs was known, walnuts were put on each other in pairs. Each gamer had one nut that we call as King Walnut. We call the small one as Biji Kwel. This walnut was not admitted to the game. Having put the walnuts, the distance was determined from the very beginning and we used to throw this King Walnut to Walnut Pairs. If [a gamer] could hit all walnuts, this walnut was the winner. This process was continued to the last gamer. The side, from where King Walnut was thrown in the longest distance, would start the game. The winner used to put nuts into the fold of his trousers. If he had gone with empty [trouser], we used to say that the fold of his trouser was left with a stick.

**oğuz**: // aγuz nut, walnut; **oğuz bāzi kard-əmi**: we used to play in walnut game; **oğuz bāzi**: game in walnut; **bāzi kard-əmi**: we used to make a game; **got-ennə**: = gvetənə: it was called; **kākāli**: Tabari

<sup>4</sup> oğuz bāzi – Various forms of playing walnuts is widespread all over Mazandaran and villages and highland locations of various regions of Iran. Various forms of playing walnuts are met in Mazandaran with various names: āγuz z kā – playing walnuts (kā: playing, entertaining in Mazanderani. According to the recorded material, Mazanderani kā has been replaced by Persian bāzi, in practice, however, it is met in rare cases anyway), yet(t)ə bəzən hame ra(h) bi – throw one and collect all of them, bəzən o buj – throw and take, čālē kā – playing pit and so on.

<sup>5</sup> biji kwel (?) - According to the respondent's interpretation, this word means a small boy. فرهنگ واژگان تبري (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh) includes the form of biji- kələ, as a toponym southward of Baboli (1381: 1/358). Cf. Georg. bitʃ-i.

Lexemes Dictionary includes the word-form of *kākālī-katī* and it is interpreted as a high-productive tall plant. Also, compare with Mazanderani *kākkələ*: 1. The top of the tree; 2. cricket (insect) and *kākkəlī*: fabric spinning wire (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1381). According to the narrator's interpretation, walnut is used in the game and it is called: Game in Walnut (Cf. Georg. *k'ak'al-i*); **arrou**: = *harro-hur*: noise, whoop; **nu**: variety (< Arab. Pers. *nowʿ / نوع*); **bəkašt-ə**: planted, sowed; *masd. bəkaštən* sowing, planting (cf. Pers. *kāštan / کاشتن*); **dər hakərd-ən**: They used to draw **dər**: linear, long; **otxelə dələ**: in Otkhele; the name of location *otxelə* (micro toponym) the village of Gorji Mahale. According to the narrator's interpretation, *otxel* denotes yew-tree (cf. Georg. *urtxmel-i*); **ojay ban**: name of location; compare with Mazand. *ujā-bən*: name of an old settlement in the district of Babol (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 1/166). At the same time, name of one of the fields in the village of Qadir, near Noushahr; **dakəšiyən**: putting through a hole; **də-kešt**: placing four walnuts in pairs; *kešt*: two walnuts put on each other; **dar in be in**: meanwhile (< Pers. id.); **šayələ**: // *šaqalə* – walnut, which is applied as a bead for throwing (cf. Pers. *šāh gardū / شاه گردو* - King Walnut). This walnut must be a bug and heavy one to be rolled well and hit the target. **xurdətəri**: smaller, tiny; **lə**: fallen down, sprawled; **pəssun**: fold of trouser; **bavərd bu**: it has been taken away.

#### IV

##### gorjī pəl

*yettə māle darə be name gorjī pəl. ahāli-e mahale, jə soāl hakərdənən, mouzu'e gorjī pəl či čie? bāhutənən ke čəndi sāl-e piš ke ahali-e in mahal xāstənən az rūdxāne öbür hakənnən, zəməston o tāvəston majbūr bine be ou bazənən.*

*yettə gorjī az in ke adəmə delsuz o delrahm biye bā hazīne-ye xodeš pəli dar in ou jə bəsatə, ke marūf bavvye be gorjī pəl.*

##### Bridge of Georgian

There is one place named the Bridge of Georgian. Residents of this location were asked what the name of Bridge of Georgia (the issue) was related to. They answered that many years before when they wanted to cross the river, in summer and winter they had to enter the water. One Georgian, who was a benevolent and kind person, built a bridge over this water, which was renowned as [under the name of] Bridge of Georgian

Narrator: Ali Baba Hashem Gorji, 54 years old, the village of Gorji Mahale

**bāhutən-en**: told, said (Behshahr dialect), *masd. bāhutən // baotən (Behshahr) // bautən // bā/(a)ten...*; **čəndi**: several (cf. Pers. *čəndīn / چندین*); **rūdxāne**: river (< Persian. id.); **öbür**: crossing, moving over (< Arab. Pers. *(ʿ)ubūr / عبور*), *(ʿ)öbür həkən-ennə*: *həkən hakərdən* present stem + *ennə* suffix (III S. plural), aorist; **zəməston o tāvəston**: summer and winter (Behshahr dialect), cf. parallel forms (distribution in space): *tāvəstān // tābeston // tābesson // tāvson // tapastān...*; **bine**: were (cf. Pers. *būdand / بودند*; singular *biye*: was, cf. Pers. *būd / بود*); **ou**: water (cf. Pers. *āb / آب*); **del-sūz o del-rahm**: diligent and merciful; *del*: heart; **hazīne**: expenses (< Persian. id.); **xod-eš**: himself, his own (reflexive pronoun) (< colloq. Pers. id.); **dar in ou jə**: on this water; *dar*: Pers. preposition, here: -on, *jə*: Mazand. postposition, here: -on. The narrator applies both Persian and Mazanderani forms – *dar*, on the one hand, and *jə*, on the other hand (typical sample of mixing codes); **marūf**: known (cf. Arab. Pers. *ma(ʿ)rūf / معروف*); **bəsatə**: built, *masd. bəsatən*.

#### References:

- Japaridze, Paata; Beradze, Grigol; Gotsiridze, Giorgi; Demetrashvili, Tamar; Shavianidze David; Tskhvediani, Zviad. 2017. *Speech, Lifestyle and Culture of the Population of Georgian Origin in Mazandaran*. Kutaisi: Akaki Tsereteli State University Press.
- Borjian, Mariam; Borjian, Habib. 2007. *Mysterious Memories of a Women: Ethno-Linguistic Materials from Rural Mazandaran. Iran and Caucasus 11/2*. Leiden & Boston: Brill.

- Della Valle, Pietro. 1811. *The Travels of Pietro Della Valle in Persia. A General Collection of the Best and Most Interesting Voyages and Travers in All Parts of the World*. Vol. IX. London: Ed. By John Pinkerton.
- Oberling, Pierre. 2001. *Georgia viii: Georgian Communities in Persia. Encyclopaedia Iranica*. <http://www.iranicaonline.org/articles/georgia-iv--2>
- Stilo, Donald L. 1981. "The Tati Language Group in the Sociolinguistic Context of Northwestern Iran and Transcaucasia", *Iranian Studies*. Vol. 14, No 3/4: Taylor & Francis, LTD. pp. 137–185.
- Stilo, Donald L. 2005. "Iranian as buffer zone between the universal typologies of Turkic and Semitic", *Linguistic Convergence and Areal Diffusion. Case Studies from Iranian, Semitic and Turkic*, eds. E. A. Csato, B. Isaksson, and C. Jahani. London: Routledge Curzon, pp. 35–63.
- فرهنگ واژگان تبریز [Tabari Lexemes Dictionary] 1381H. Sh. / 2003. Ed by Jehangir Nasri Ashraf. V 1-5. Tehran: Enteshārāt-e ehyā'-e ketāb.

თამარ დემეტრაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

[t\\_demetrashvili@yahoo.com](mailto:t_demetrashvili@yahoo.com)

პაატა ჯაფარიძე

ზვიად ცხვედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[pajafari@yahoo.com](mailto:pajafari@yahoo.com)

[zviad.tskhvediani@atsu.edu.ge](mailto:zviad.tskhvediani@atsu.edu.ge)

## მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება: დიალექტოლოგიური მასალა

### რეზიუმე

2017 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფაცხოვრება და კულტურა“, რომელიც აღნიშნული საკითხების კოპლექსური შესწავლის პირველი ცდაა. ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით N FR/409/2-141/13. ნაშრომის ავტორები არიან: პაატა ჯაფარიძე (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), გრიგოლ ბერაძე, თამარ დემეტრაშვილი, გიორგი გოცირიძე, დავით შავიანიძე და ზვიად ცხვედიანი.

ნაშრომში შესულია მაზანდარანის პროვინციის ქალაქ ბეჰშაპურში, დაბა გორჯი მაჰალესა და სოფელ ასიაბსარში ჩაწერილი და დოკუმენტირებული მაზანდარანული მეტყველების ნიმუშები. ტექსტები ჩაწერეთ 2014-16 წლებში. ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალა მოვიპოვეთ ჰეიდარის, სიამიანის, ნოსრათოლას, ესჰაყისა და ილიასის გვარის წარმომადგენლებისაგან. სავლელ სამუშაოები იგეგმებოდა წყაროებში დადასტურებულ სოფელ ქუსანე გორჯიშიც. აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი ქუსანე გორჯი გამქრალია, თუმცა გორჯი მაჰალესა და ასიაბსარის მოხუცების გადმოცემით დღევანდელი ასიაბსარი ქუსანე გორჯია. ასიაბსარი სოფელ როსთამ ქოლასა და გორჯი მაჰალეს შორის მდებარეობს. აქ ქართული წარმომავლობის ილიასის (ილიასი გორჯი) გვარის ოჯახები სახლობენ.

მაზანდარანელი ქართველების სამეტყველო ენა მაზანდარანულთან ერთად სპარსულიცაა. ზოგადად სპარსული ენა დიდ ზეგავლენას ახდენს მაზანდარანულზე.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ დიალექტურ მასალას (4 ტექსტს, მათ შორის გამოუქვეყნებელს: *sang mar mar bāzi* – „ბურთულით თამაში“ და *bajal bāzi* – „კოჭით თამაში“) თარგმანითა და ლექსიკურ-გრამატიკული განმარტებებით, რაშიც ასევე შესულია გამოუქვეყნებელი დამატებითი ინფორმაცია *oγuz bāzi*-სთან დაკავშირებით.

ტექსტები ასახავს მაზანდარანულის აღმოსავლურ დიალექტს, კერძოდ ქართული წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობის მაზანდარანულ მეტყველებას და საინტერესოა ენობრივი და სოციოლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მაზანდარანის ქართული მოსახლეობა, მაზანდარანული მეტყველება.

მაზანდარანში XVI-XVII საუკუნეებში დამკვიდრებული ქართული წარმომავლობის მოსახლეობის ყოფა და კულტურა პრაქტიკულად დღემდე შეუსწავლელი იყო.

შაჰ აბასმა მაზანდარანში ჩაასახლა ქართველთა და სომეხთა 30 000 ოჯახი, მათ შორის 3000 ოჯახი ზაგემიდან (გარე კახეთი). ქართველთა უმრავლესობა დასახლდა აშრაფის (დღევანდელი ბეჰშაჰრი), სარისა და ფარაჰზადის რაიონებში. 1618 წელს მაზანდარანში იმოგზაურა პიეტრო დელა ვალემ, რომელიც გვამცნობს, რომ „აქ ჩამოსახლებულთ მიეცათ ნება თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ეცხოვრათ. უსაქმურობისაგან რომ არ მოეწყინათ, შაჰმა დაავალა მათ ყამირი მიწების ათვისება. ამგვარად შემოიტანა პროვინციაში კულტურა, ხელოსნობა და ვაჭრობა, რომელიც აქ სრულიად უცნობი იყო. ამ ხალხს შორის, რომელიც უკვე გამოიგზავნა და დღით-დღე კიდევ მოდის, უმრავლესობა ქრისტიანია, განსხვავებულნი თავიანთი ჩაცმულობითა და ზნე-ჩვეულებით. დიდ ნაწილს შეადგენენ ქართველები და სომეხები, რომელთაც ნება ეძლევათ ააშენონ, რამდენიც სურთ სახლი და ეკლესია და სახალხოდ სცენ თავყვანი“. (Della Valle 1811, 52; ჯაფარიძე... 2017, 7-8). მაზანდარანში ქართველთა შესახებ ცნობებს გვაწვდის P. Oberling-ი (Oberling 2001: <http://www.iranicaonline.org/articles/georgia-iv--2>).<sup>1</sup>

მაზანდარანში ქართველებით დასახლებული სოფლების გეოგრაფიული განლაგება ასეთია: გორჯი ყალე – ნოუდან 13 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით; გორჯი ქეილი – ფოლე სევიდიდან 36 კმ. სამხრეთით; გორჯი სარა – შაჰსავარიდან 26 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით; გორჯი ყალა – 5კმ. სამხრეთ-დასავლეთით სარი-შაჰის გზატკეცილიდან; გორჯი მაჰალე – ბეჰშაჰრიდან 8 კმ. დასავლეთით; გორჯი მაჰალე – 11 კმ. აღმოსავლეთით ქურდ ქუიდან. მაზანდარანში მდებარეობს ასევე სოფელი გორჯი შაჰრუდის რაიონში, გორჯი-მაჰალე გორგანის რაიონში 8კმ. ბენდერ გორგანიდან.

კასპიის ზღვის მთელს სამხრეთ სანაპიროზე დღესაც მრავლად ვხვდებით ტოპონიმებს, რომლებშიც ქართველის ან ქართულის აღმნიშვნელი ელემენტი გვაქვს (ამ ტიპის ტოპონიმები წარსულში უფრო მეტი იყო), რაც იმაზე მიუთითებს რომ ქართველთა დასახლებები აქ მრავლად ყოფილა. ქართველთა მაზანდარანში ჩასახლების ძირითად მიზეზად რეგიონის სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერებაა მიჩნეული.

მაზანდარანის ქართველები დღეისათვის ქართულად აღარ საუბრობენ. მათი ქართული მეტყველების დიაგრამა წყაროების მიხედვით XX ს-ის 30-40-იან წლებამდე მოდის, თუმცა ამ დროისათვისაც ქართულად მოსაუბრეთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია. ჟაკ დე მორგანი 1889 წელს მაზანდარანში მოგზაურობის შემდეგ აღნიშნავს, რომ მათ მშობლიური ენა დაკარგული აქვთ, ხოლო ვლადიმირ მინორსკის 1934 წლის ცნობის მიხედვით ქართულად მოსაუბრე ერთი ასაკოვანი ქალი იყო მხოლოდ. საყურადღებოა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს პეტერბურგში გამოცემულ ირანის რუკაზე, რომელზეც ტომების განლაგებაა აღნიშნული, დადასტურებულია მაზანდარანში ქართულენოვანი მოსახლეობის არსებობა.

მაზანდარანის მოსახლეობის დიდი ნაწილი ორენოვანია. ადგილობრივი მოსახლეობა, მშობლიური ენის გარდა, კარგად ფლობს სპარსულს. მაზანდარანული ორენოვან გარემოში განიცდის სპარსულის ძლიერ გავლენას, რომელიც აისახება ლექსიკაზე, ფონეტიკასა და სინტაქსზე. ასევე მნიშვნელოვანია ასაკობრივი და გენდერული ფაქტორები.

მაზანდარანულ ენაზე არსებობს მდიდარი სამწერლობო ტრადიცია (X-XV საუკუნემდე). თუმცა დღეს მაზანდარანული სამწერლობო ენა აღარაა და აღარ აქვს სტანდარტიზებული ფორმები.

მაზანდარანულში ათზე მეტ სუბდიალექტს გამოყოფენ, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს 3 ძირითად კატეგორიად: აღმოსავლურ, ცენტრალურ და დასავლურად, ასევე მთისა და ბარის განსხვავებულობაზეც მიუთითებენ.

<sup>1</sup> ასევე საკითხის შესახებ იხ. ბიბლიოგრაფია ნაშრომისა „მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფაცხოვრება და კულტურა“ (2017. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

განსხვავდება ქალაქისა და სოფლის (კონსერვატიული) მაზანდარანულიც. ქალაქის მაზანდარანულად ხასიათდება სპარსული გავლენის ქვეშ მყოფი მაზანდარანული, რომელზეც საუბრობენ ახალგაზრდები, ქალაქელები, კარგად განათლებული ადამიანები. ხოლო მეორე - კონსერვატიული მაზანდარანული (სოფლის მაზანდარანული), რომელზეც საუბრობს ასაკოვანი, ნაკლებად განათლებული სოფლის მოსახლეობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრით მაზანდარანული ენა გილანურთან (გილაქი) ერთად გარკვეულ საერთო ნიშნებს ავლენს კავკასიურ ენებთან (Stilo 1981, 137-185; Stilo 2005, 35-63).

მაზანდარანში სპარსულს იყენებენ გარკვეულწილად მშობლიური სახესხვაობით. ამას ემატება სოციალური ფაქტორები, რასაც მივყავართ კოდების შერევა-გადართვამდე.

ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მაზანდარანული მასალიდან საყურადღებოა M. Borjian-ისა და H. Borjian-ის ნაშრომში “Mysterious Memories of a Women: Ethno-Linguistic Materials from Rural Mazandaran” დოკუმენტირებული და ფონოლოგიური ტრანსკრიპციით ჩაწერილი 15 ტექსტი (მათ შორის ხალხური სიმღერები). ავტორები აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი ტექსტები მნიშვნელოვანია მაზანდარანის ლინგვისტური და ეთნოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით (Borjian... 2007, 227).

## I

### *Sang mar mar bāzi*

*in bāzi vištār tabestuna bad az madrase, bad az tatila(/ā)t, šuru biyā kə vacēā vištār ba-pul bāzi kardān(n)ə. aḡā pul nadoštā bejaya pul sang mar mar dane kə nafare aw(w)al sang marmar\_ rā inguā bənə. nafare dowom elam kardā masalan: tir yek taman vājə panjzar. aḡā tir zuā, yek tuman gitā, aḡā nazu\_bu yek tuman baxtā.*

მთხორბელი: ალი ბაბა ჰაშემი გორჯი, 54 წლის, გორჯი მაჰალე (ბეჰშაჰრი)

ეს თამაში უმეტესად ზაფხულობით სკოლის შემდეგ, დასვენებების შემდეგ იწყება, (რომ) ბავშვები უმეტესად ფულით თამაშობენ. თუ ფული არ ჰქონდათ, მის ნაცვლად პატარა, თიხის ბურთულას აძლევდა [ვილაც]. პირველი პირი ბურთულას ისროდა მიწაზე. მეორე მოთამაშე ამბობს, მაგალითად: მოხვედრა [მიზანში] ერთი თუმანი ხუთი ნაბიჯიდან. თუ მიზანში გაარტყა, ერთ თუმანს აიღებს. თუ ვერ გაარტყა, ერთი თუმანი წააგო.

**sang- mar- mar:** თიხის, მინის ან ქვის პატარა ბურთულა (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1392), (ბავშვების სათამაშო); **in:** ეს (ჩვენებითი ნაცვალსახელი), შდრ. სპარს. īn / این; **bāzi:** თამაში (< სპარს. Id.); **kardān(n)ə:** აკეთებდნენ, მასდ. həkordān (ბეჰშაჰრი) // hākardān (ამოლი) // hākordān (აბას აბადი) (შდრ. სპარს. Kardān / کردن), აქ: დამხმარე ზმნა, bāzi kardān(n)ə - თამაშობდნენ; **aḡā:** თუ (შდრ. სპარს. Aḡār / آگر); **nadoštā:** არ ჰქონდათ, na - უარყოფითი ნაწილაკი, doštā // daštā - ჰქონდათ (შდრ. სპარს. მასდ. dāštan / داشتن - ქონა, ყოლა); **bejay-ə:** ნაცვლად (< სპარს. Id.); **dane // dāne:** მასდ. hedāne - მიცემა (შდრ. სპარს. dādan / دادن); **nafare:** პირი, პერსონა (< სპარს. Id. نفر < არაბ.); **av(v)el:** პირველი (<არაბ. სპარს. awwal / اول); **vištār:** vištār // vištār // bištār - უმეტესად (შდრ. სპარს. bištār / بیشتر); **šuru biye:** šuru - იწყებოდა; šuru - დაწყება (შდრ. სპარს. šorū(ī) / شروع < არაბ.); biye - იყო (შდრ. სპარს. būd / بود), აქ: დამხმარე ზმნა; **vacē:** ბავშვი (შდრ. სპარს. bače / بچه); **kə:** რთულ თანწყობილ წინადადებაში ძირითადი კავშირი, რომელსაც სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება მოსდევს; **inguā:** ისროდა, მასდ. dinguān // dinguān // denguān // dinguān; **elam kardā:** იტყოდა, განაცხადებდა (შდრ. სპარს. მასდ. elām kardān / اعلام کردن); **tir:** მოხვედრა (მიზანში); **vājə:** vijə // vejə // vajəb – ნაბიჯი (შდრ. სპარს. wājəb / وجب)<sup>2</sup>; **yek:** ერთი, შდრ. სპარს. id. მაზანდ. yəttā: =yettā // yettā (ya+ttā) – ye - ერთი, yəttā (ბეჰშაჰრის დიალექტი); **taman // tuman:** თუმანი; **zuā:** დაარტყა, გაარტყა, მასდ. bazuān - დარტყმა, გარტყმა, მოხვედრა (შდრ. სპარს. zadan / زادن); **nazu\_bu:** ვერ მოარტყა; bu - იყოს (შდრ. სპარს. bāšad / باشد), აორისტის ფორმა, დამხმარე ზმნა; **gitā:** აიღო, წაიღო; მასდ. gitān //

<sup>2</sup> მთხორბელის განმარტებით vājə მტკაველს ნიშნავს.

grifan // gitan (შდრ. სპარს. gereftan / گرفتن); **bahitān**: მასდ. აღება, მოპოვება, ხელში ჩაგდება; **bahit\_bu**: აღებულ იქნა / აიღეს, bahit - აღებული, წარსული დროის მიმდევობა, (მასდ. bahitān); **baxta**: // bā(a)xat - წააგო, მასდ. bebāxtān (შდრ. სპარს. bāxtan / باخت).

## II

### *bajal bāzi*

*bajal yaṭta tike aštayun hastā ke gufendi lingā dala, yesmate zendi dane ke vāne esm bajale. vāne ja šāh o\_vazir bāzi<sup>3</sup> kombim. un yesmat ke čale dan(n)ā šāh (h)astā. vāne pašt saf(f) hastā vazir hastā. vāne yek taraf nešungare dāzd, tarafe dige nemāyāngarā adamā zāhed va ba\_xoda hastā. vaxti ke šāh o\_vazir tayyn bavina, bāzi šuru vune. nafarate badi bajal\_rā ingendān(n)ā. agā zāhed dakefā, hič jarimeī nedān(n)ā, magar šāh hoqm hakān(n)ā ke zāhed baxundā yā harakatirā anjam hadā. agā dāzd dakefā, vazir be\_et(i)elae šāh resenandā ke dāzd baytāmā bad šāh gvānā čē čī ba\_dāzd biye? bastegi be\_nue dāzdi hokm dān(n)ā. bad masalan dāzdi xurd baše, tambī(h)e kamtar .agā gattar baše tambīhi vištar. tambī(h) be\_vasileye alate bename kvatak vasiley hastā parčey ke xale seft o\_mohkam bebavta vunā daste vazir darā va\_vazir ba\_in kotak tambih kvāndā. agā vazir natune, xub tambih hakān(n)ā, šāh be\_dāzd gvānā ke tambih\_rā vazir derā yād bade.be\_hamin surat bāzi ādāmā denā.*

მთხრობელი: ალი ბაზა ჰაშემი გორჯი, 54 წლის, გორჯი მაჰალე (ბეჰშაჰრი)

bajal ძვლის ნაწილია, რომელიც ცხვრის ფეხში არის, მუხლთან, მას ჰქვია bajal. მისით მეფისა და ვეზირის თამაშს ვთამაშობთ. იქ სადაც ძვლის ღრმულია, მეფეა [მეფეს ვაწერდით], გლუვ ზედაპირზე ვეზირი არის. მის [კოჭის] ერთი მხარე ქურდს აჩვენებს, მერე მხარე - ღვთისმოსავს. როდესაც შაჰი და ვეზირი განისაზღვრება [ვინ არის], თამაში იწყება. სხვები ისვრიან კოჭს. თუ ღვთისმოსავი დაჯდა, არავითარი დასჯა არ არის. თუ მეფემ ბრძანა, რომ ღვთისმოსავმა იმღეროს, მაშინ ის მღერის ან რაღაც მოძრაობას ასრულებს. თუ ქურდი დაჯდა, ვეზირი მეფეს ატყობინებს, რომ ქურდი დავიჭირე[ო]. მერე მეფე ამბობს: რა მოიპარა? ქურდის [ნაქურდალის] მიხედვით, განაჩენი გამოაქვს. მერე მაგალითად ნაქურდალი ცოტა თუ იქნება, სასჯელიც ნაკლები. თუ მეტი, სასჯელიც მეტია. დასჯა ხდება ნივთის საშუალებით სახელად kvatak, [რომელიც] არის ძალიან მკვრივად და ძლიერად მოქსოვილი საშუალება, რომელიც ვეზირს ხელთ აქვს. ვეზირი ამ ქსოვილით სჯის. თუ ვეზირი ვერ შეძლებს, კარგად დასაჯოს, მეფე ქურდს ეუბნება, რომ სასჯელი ვეზირს მისცეს [ვეზირი დასაჯოს ქურდმა]. ამგვარად გრძელდება თამაში.

**bajal**: ცხვრის სახსრის პატარა ოთხკუთხა ძვალი; **aštayun**: ძვალი (შდრ. სპარს. ostoxān / استخوان); **hastā**: არის, არსებობს (შდრ. სპარს. hast / هست. hast-e). მაზანდ. dar-ā სპარს. budan-ის შესატყვისია. აწმყოსა და თხრობითი კილოში წარმოდგენილია ორი ფორმით: dar და hast. hast სპარსულიდან შევიდა მაზანდარანულში; **gufendi**: = gusfān // gvesfān - ცხვარი (შდრ. სპარს. gūsfaṇ / گوسفند); **tikke**: რაღაცის ნაწილი (შდრ. სპარს. tekke / تکه), **ling**: = leng // ləng // lang- ფეხი (წვივიდან ტერფამდე); **dala**: შიგნით (ზმნიზედა) = dāxele (<სპარს. Id.< არაბ. dāhil); **yesmate zendi**: yesmat: ნაწილი (შდრ. სპარს. Id.), zendi: მუხლი (შდრ. სპარს. zānū / زانو). მთხრობელი აქ იყენებს სპარსულ იზაფეტს (შდრ. მაზანდარანული: zendi yesmat - მუხლის ნაწილი); **dane**: მასდ. hədāne - მიცემა (შდრ. სპარს. dādan / دادان); **vāne**: მისი; **bāzi komb-im**: ვთამაშობთ, kombi - ვაკეთებთ (აწყმო დროის ფუძე); მასდ. h(ə)kardān - კეთება (შდრ. სპარს. mīkonim / می کنیم - ვაკეთებთ და მასდ. kardan / کردان - კეთება); **pašt**: ზურგი, ზედაპირი (შდრ. სპარს. pošt / پشت); **nešungar**: = nemāyāngar - მაჩვენებელი, მანიშნებელი (< სპარს. კოლოკ. nešungar); **taraf**: მხარე

<sup>3</sup> *šāh-vazir bāzi*-ის [მეფისა და ვეზირის თამაში] შესახებ მოცემულია განმარტება: 13-დან 15 ახალგარდამდე თამაშობს. ამ თამაშის ატრიბუტებია: კოჭი და შალის სახეობა, რომელსაც მაზანდარანში darne-ს ეძახიან. თამაშობენ სხვადასხვა დღესასწაულის დროს. ქორწილის დროს თამაშში სიძვე მოწაწილეობს და გამოთენიამდე გრძელდება, ცხვრის დაკვლითა და ხორცის დაგემოვნებით მთავრდება (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1442-1443).

(< არაბ. სპარს. taraf / طرف), tarafe dige - სხვა მხარეს; **zāhed**: ღვთისმოსავი, ასკეტი (შდრ. სპარს. Id.); **bavin-ə**: გახდა, გადაიქცა (დამხმარე ზმნა), მასდ. baviyən, tayyn bavina - განისაზღვრა, განსაზღვრული გახდა; **dəzd**: ქურდი, dəzdi: ქურდობა; **ingend-ən(n)ə**: ისვრიან; **dakef-ə**: დაეცა (აორისტი), მასდ. dakətən; **nedan(n)ə**: არ აძლევენ; **magar**: კავშირი თუ, ნუ თუ... (< სპარს. Id.); **hakən(n)ə**: გააკეთოს (აორისტი) , აქ დამხმარე ზმნა (hoqm hakən(n)ə - ბრძანებს, განაჩენი გამოაქვს), მასდ. hākərdan; **baytəmə**: ავიღე, დავიჭირე; **gvən-ə**: ამბობს; **gat-(tə)r**: უფრო დიდი, gat – დიდი, -tər ელემენტური ფორმები ელატიურია; **tambih**: სასჯელი, დასჯა, განაჩენი (< არაბ. სპარს. tanbīh / تنبيه); **kvəndə**: აკეთებს; **kvatak**: = kutək - დახვეული ორფა შალის ქსოვილი, რომელსაც თამაშებში მათრახის ნაცვლად იყენებენ; **bebavtə vune**: მოქსოვილია, vune: = bune - გახდა, გადაიქცა (დამხმარე ზმნა, აწმყო დროის ფუძე, მასდ. bayyən, სპარს. šodan / شدن); **yād bade**: < სპარს. yād bede - ასწავლე!; **ādāmə**: გაგრძელება (< არაბ. სპარს. ədāmə / ادامة); **den-ə**: აძლევს (აქ: დამხმარე ზმნა, მასდ. hədāən // dādāən // hādān), ədāmə denə -გრძელება.

### III

#### *oγuz bāzi*<sup>4</sup>

*amā oγuz bāzi kardəmi. γadimā gotennā kākāli bāzi. yə seri vačēā be bāzi hamle kerdənə ke arrouri hakenə. aγuz bāzi čand nu biye, mesle kākāli bəkaštən ya čāle dāšəniyā. xat dər hakərdən, dah nafar bāzi kardəmi. aγuz dakoštən aksaran bāzi vačēhā tābestūn, bad az nāhār otxelə dələ ya oγay ban bāzi kardəmi. bāzi dar surate āγuz dekaštən panj nafar be surate panj kešt šuru biye. dar in be in yettə nafar gwətə čan kešt? ba in ke tedad-e kešt malum biye, āγuzā rə ediyə sar kaštənə. har kas yettə qade āγuz daštə ke verə gwətemi šayələ. xurdətəri āγuzā rə gwetemi biji kwel<sup>5</sup>, ke in āγuz haqə bāzi nedəštə. bad in ke āγuzā rə bekaštənə, bā fāseleye moayan baviyā az γabl, šāγəl je be kašte āγuzā rə zarbe zunə. aγə betuneste har tedad āγuzā rə lə badiyā, hamun āγuzā rə barande biyā. haminjūr ədāmə dane, ta nafare axar. az un var har kī vāne šāγələ dirtar biyā bāzi rə šuru' kwərdə. har kas barande biye āγuzā rə xweše pəssun zunə, aγə xale bavərd bu, gwetəmi vāne pəssun ču baviyā.*

მთხრობელი: ამროლა გორჯი, 54 წლის, გორჯი მაჰალე (ბეჰშაჰრი)

ჩვენ ოღუზ თამაშს ვთამაშობდით. ძველები კაკლის თამაშს ეძახდნენ. ერთი ჯგუფი ბავშვებისა თამაშში ერთვებოდნენ ყოყინით. კაკლის თამაშში რამდენიმე სახეობისა იყო, როგორცია „კაკალი დათესა“ ან „ორმოში ჩაყარა“. ხაზს ავლებდნენ, ათი კაცი ვთამაშობდით. „კაკლის გაძვრენა“ [თამაშის სახეობა] უმეტესად სადილის შემდეგ ბიჭები ზაფხულობით ოთხელში ან ოჯა-ბანში ვთამაშობდით. თამაშის სახეობა „კაკლის გაძვრენა“ ხუთი მოთამაშითა და ხუთი წყვილი კაკლით იწყებოდა. ამასობაში ერთი იტყოდა: რამდენი წყვილი? მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდებოდა წყვილის რაოდენობა, კაკლებს ერთმანეთს აწყობდნენ წყვილებად. ყოველ პირს ერთი კაკალი ჰქონდა, რომელსაც ვეძახით მეფე კაკალს. უფრო პატარას კი ბიჯი ქველს ვეძახით, ამ კაკალს თამაშის უფლება არ ჰქონდა. მას შემდეგ რაც კაკლებს დავდებდით, [დაცილებს] მანძილი თავიდანვე განისაზღვრებოდა და ამ მეფე კაკალს ვესროდით კაკლის წყვილებს. თუ შეძლებდა [მოთამაშე] ყველა კაკლის წაქცევას, ის კაკალი გამარჯვებული ხდებოდა. ამგვარად გრძელდებოდა ბოლო მოთამაშემდე. იმ მხრიდან, ვისი მეფე კაკალიც ყველაზე შორს გაგორდებოდა, თამაშს ის იწყებდა. ვინც გაიმარჯვებდა, კაკლებს თავის შარვლის ნაკეცში იყრიდა. თუ ცარიელი [შარვლით] წავიდოდა, ვამბობდით, მის შარვლის ნაკეცს ჯოხი შერჩა.

<sup>4</sup> oγuz bāzi – კაკლის თამაშში, მთელს მზანდარანსა და ირანის სხვადასხვა რეგიონის სოფლებსა და მთიან რაიონებში სხვადასხვა ფორმითაა გავრცელებული. მზანდარანში კაკლით მრავალი სახეობის თამაში არსებობს მრავალი სახელით: āγuz kā - კაკლის თამაში (kā: თამაში, გართობა მზანდარანულად. ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით მზანდარანული kā ფაქტიურად ჩანაცვლა სპარსულმა bāzi-მ, თუმცა იშვიათად მაინც გვხვდება), yet(t)ə bazan hame ra(h) bi – ერთი ისროლე და ყველა შეაგროვე, bazan o buj – ისროლე და ამოიღე, čālē kā - ორმოს თამაში და ა. შ.

<sup>5</sup> biji kwel (?) - რესპოდენტის განმარტებით პატარა ბიჭს ნიშნავს. فرهنگ وازگان تبری (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh)-ში მოცემულია ფორმა biji-kalā, როგორც ტოპონიმი, ბაბოლის სამხრეთით (1381: 1/358). შდრ. ქართ. ბიჭი

**oyuz:** // ayuz კაკალი, ნიგოზი; **oyuz bāzi kard-ami:** კაკლის თამაშს ვთამაშობდით; oyuz bāzi: კაკლის თამაში; bāzi kard-ami: თამაშს ვაკეთებდით; **got-enna:** = gwetana: ეძახდნენ; **kākāli:** თაბარულ სიტყვათა ლექსიკონში მოცემულია სიტყვა-ფორმა kākāli-kati და განმარტებულია როგორც სარგებლის მომტანი მაღალი ტანის მცენარე. ასევე, შდრ. მაზანდ. kākka: 1. ხის წვერი; 2. ჭრიჭინა (მწერი) და kākka: ძაფის სართავი ჭრიჭინა, კოჭი (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 3/1381). მთხრობელის განმარტებით, თამაშში იყენებენ კაკალს და ასეც ჰქვია მას: „კაკლის თამაში“. (შდრ. ქართ. კაკალ-ი); **arrou:** = harro-hur: ხმაური, ყიყინა; **nu:** სახეობა (< არაბ. სპარს. nowf / عوف); **bakašt-a:** დარგო, დათესა; მასდ. bakaštān დათესვა, დარგვა (შდრ. სპარს. kāštān / کاشت); **dār hakərd-ən:** ავლებდნენ; **dār:** გრძელი, გრძელი; **otxelə dələ:** ოთხელეში; ადგილის სახელი otxelə (მიკროტოპონიმი) სოფელ გორჯი მაჰალეში. მთხრობელის განმარტებით otxel ნიშნავს ურთხმელის ხეს (შდრ. ქართ. ურთხმელ-ი); **ojay ban:** ადგილის სახელი; შდრ. მაზანდ. ujā-bān: ძველი დასახლების (უბნის) სახელი ბაბოლის რაიონში (Tabari Lexemes Dictionary 1381H/Sh: 1/166). ასევე, ერთ-ერთი მდელის დასახელება სოფელ ქადირში ნოუშაჰრის მახლობლად; **dakāšiyān:** ხვერელში გაძვრენა; **də-kešt:** ოთხი კაკლის წყვილად განლაგება; kešt: ორი ერთმანეთზე დაწყობილი კაკალი; **dar in be in:** ამასობაში (< სპარს. id.); **šayələ:** //šaqələ - კაკალი, რომელიც სასროლ ბურთულად გამოიყენება (შდრ. სპარს. šāh gardū / شاه گرد - მეფე კაკალი). ეს კაკალი დიდი და მძიმე უნდა იყოს, რათა კარგად გაგორდეს და მიზანში მოხვდეს; **xurdətəri:** მომცრო, უფრო პატარა; **lə:** დავარდნილი, წაქცეული; **pəssun:** შარვლის ნაკეცი; **bavərd bu:** წაღებულ იქნა.

#### IV

##### gorjī pəl

*yettā māle darā be name gorjī pəl. ahāli-e mahale\_ jə soāl hakərdənən, mouzu'e gorjī pəl čī čie? bāhutənən ke čāndi sāl-e piš ke ahali-e in mahal xāstānən az rūdxāne öbür hakənenna, zəməston o\_ tāvəston majbūr bine be\_ou bazānən.*

*yettā gorjī az in ke adəmə delšuz o\_ delrahm biye bā hazīne-ye xodeš pəli dar in ou jə basatə, ke marūf bavvye be\_ gorjī pəl.*

##### ქართველის ხიდი

ერთი ადგილი არის სახელწოდებით ქართველის ხიდი. ამ კუთხის მცხოვრებთ ჰკითხეს, ქართველის ხიდის სახელი (საკითხი) რას უკავშირდებაო? თქვეს, რომ წლების წინ, როდესაც სურდათ მდინარეზე გადასულიყვნენ, ზამთარ-ზაფხულ იძულებული იყვნენ, წყალში ჩასულიყვნენ.

ერთმა ქართველმა იმის გამო, რომ მოწყალე და კეთილი იყო, თავისი ხარჯებით ხიდი ამ წყალზე ააგო, რომელიც ქართველის ხიდის [სახელით] გახდა ცნობილი.

მთხრობელი: ალი ბაზა ჰაშემი გორჯი, 54 წლის, სოფელი გორჯი მაჰალე

**bāhutən-en:** უთხრეს, თქვეს (ბეჰშაჰრის კილოკავი), მასდ. bāhutən // baotən (ბეჰშარში) // bautən // bā/(a)ten...; **čāndi:** რამდენიმე (შდრ. სპარს. čāndīn / چندی); **rūdxāne:** მდინარე (< სპარს. id.); **öbür:** გადასვლა, გადალახვა (< არაბ. სპარს. (f)ubūr / عبور), (f)öbür hākən-ennə: hākən hakərdən-ის (მასდ.) აწმყო დროის ფუძე + ennə სუფიქსი (III S. მრ. რ.), აორისტი; **zəməston o\_ tāvəston:** ზამთარ-ზაფხულ (ბეჰშაჰრის კილოკავი), შდრ. პარალელური ფორმები (სივრცითი დისტრიბუცია): tāvəstān // tābeston // tābesson // tāvson // tapastān...; **bine:** იყვნენ (შდრ. სპარს. būdānd / بودند; მხ. რ. biye: იყო, შდრ. სპარს. būd / بود); **ou:** წყალი (შდრ. სპარს. āb / آب); **del-sūz o\_ del-rahm:** გულმხურვალე და გულმოწყალე; del: გული; **hazīne:** ხარჯი (< სპარს. id.); **xod-eš:** თვითონ, თავისი (უკუქცევითი ნაცვალსახელი) (< კოლოკ. სპარს. id.); **dar in ou jə:** ამ წყალზე; dar: სპარს. წინდებული, აქ: -ზე, jə: მაზანდ. თანდებული აქ: -ზე. მთხრობელი ერთდროულად იყენებს სპარსულ და მაზანდარანულ ფორმას, ერთი მხრივ, dar და მეორე მხრივ, jə (კოდების შერევის ტიპური ნიმუში); **marūf:** ცნობილი (შდრ. არაბ. სპარს. ma(f)rūf / معروف); **bəsātə:** ააგო, მასდ. bəsātən.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- ჯაფარიძე, პაატა; ბერაძე, გრიგოლ; გოცირიძე, გიორგი; დემეტრაშვილი, თამარ; შავიანიძე, დავით; ცხვედიანი, ზვიად. 2017. *მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Borjian, Mariam; Borjian, Habib. 2007. *Mysterious Memories of a Women: Ethno-Linguistic Materials from Rural Mazandaran. Iran and Caucasus* 11/2. Leiden & Boston: Brill.
- Della Valle, Pietro. 1811. *The Travels of Pietro Della Valle in Persia. A General Collection of the Best and Most Interesting Voyages and Travers in All Parts of the World*. Vol. IX. London: Ed. by John Pinkerton.
- Oberling, Pierre. 2001. *Georgia viii: Georgian Communities in Persia. Encyclopaedia Iranica*. <http://www.iranicaonline.org/articles/georgia-iv--2>
- Stilo, Donald L. 1981. "The Tati Language Group in the Sociolinguistic Context of Northwestern Iran and Transcaucasia", *Iranian Studies*. Vol. 14, No 3/4: Taylor & Francis, LTD: 137–185.
- Stilo, Donald L. 2005. "Iranian as Buffer Zone between the Universal Typologies of Turkic and Semitic", *Linguistic Convergence and Areal Diffusion. Case Studies from Iranian, Semitic and Turkic*, eds. E. A. Csato, B. Isaksson, and C. Jahani. London: Routledge Curzon: 35–63.
- واژگان تبرى [Tabari Lexemes Dictionary] 1381H. Sh. / 2003. Ed by Jehangir Nasri Ashraf. V 1-5. Tehran: Enteshārāt-e ehyā' -e ketāb.